დანართი *№1*

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭოს რეგლამენტი უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე, განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას.

2. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა აქტების შესაბამისად.

3. აკადემიურ საბჭოს აქვს შემდეგი სახის ბლანკები:

ა) აკადემიური საბჭოს დადგენილების ბლანკი;

ბ) აკადემიური საბჭოს საქმისწარმოების ბლანკი.

4. აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელია უნივერსიტეტის I კორპუსი (ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1).

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს მართვის პრინციპები

აკადემიური საბჭო მართვას ახორციელებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება;

გ) თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

დ) არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსის საჯაროობა.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს სტატუსი (№107/2016, 12.09.2016)

1. აკადემიური საბჭო არის უნივერსიტეტის კოლეგიური, აკადემიური (საგანმანათლებლო – სამეცნიერო) საქმიანობის მართვის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც არჩეულია პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა:

ა) ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრი – პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი;

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი.

3. აკადემიური საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სხვა სამეცნიერო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია აკადემიური, ადმინისტრაციული ან სამეცნიერო თანამდებობა.

4. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა 4 წლის ვადით.

5. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. ამოღებულია. (№37/2018, 5.02.2018)

7. აკადემიურ საბჭოში ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის ნაცვლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის აუცილებლობის შემთხვევაში, ტარდება წილისყრა. წილისყრის წესსა და პირობებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

8. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს არჩევნები. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა (№107/2016, 12.09.2016)

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში არიან და საბჭოს სრულუფლებიან წევრებად ითვლებიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები.

2. აკადემიურ საბჭოში თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან აირჩევა ერთი წარმომადგენელი, ხოლო თითოეული ფაკულტეტიდან სამი წარმომადგენელი.

3. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, ფაკულტეტების განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

დ) აცხადებს რექტორისა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებს;

ე) აქვეყნებს განცხადებას რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ, ადგენს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს და რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას;

ვ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;

თ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ი) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ

კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

კ) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;

კ[1]) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორს; (№107/2016, 12.09.2016)

კ[2]) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით განიხილავს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებას და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს; (№107/2016, 12.09.2016)

კ[3]) განიხილავს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს; (№107/2016, 12.09.2016)

კ[4]) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს; (№107/2016, 12.09.2016)

კ[5]) ფაკულტეტის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ სტუდენტთა საბაკალავროდა სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში მონაწილეობის, აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ჩართვის წესს; (№107/2016, 12.09.2016)

ლ) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

მ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს

სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე, ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

ნ) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

ო) ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;

პ) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას,რომელიც ასევე მოიცავს სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესს;

ჟ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;

რ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ს) ამოღებულია; (№107/2016, 12.09.2016)

ტ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სტრუქტურის წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვაში;

უ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესს;

ფ)წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ქ) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

ღ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

ყ) ადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს გადაცილებული პირის არჩევის და თანამდებობიდან გათავისუფლების წესსა და პირობებს, ასევე ემერიტუსის წოდების მქონე პირისათვის ანაზღაურების განსაზღვრისა და მიცემის წესს;

შ) ამოღებულია; (№52/2015, 04.05.2015)

ჩ) იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო ერთეულების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ (გარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებად რეორგანიზებული

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა) და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს; (№107/2016, 12.09.2016)

ც) განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ძ) ამტკიცებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს;

წ) დადგენილებით იღებს დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ჭ) ამტკიცებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურის მოწყობის ერთიან მოდელს;

ხ) იღებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ჯ) უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ჰ) რექტორის, ფაკულტეტის საბჭოს ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორის წოდების, ხოლო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე – ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ; (№37/2018, 5.02.2018)

ჰ[1]) ქმნის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევ საკონკურსო კომისიებს, ამტკიცებს მათ შემადგენლობასა და კომისიის მუშაობის შედეგებს, ირჩევს აკადემიურ პერსონალს თანამდებობაზე; (№107/2016, 12.09.2016)

ჰ[2]) წესდებით გათვალისწინებული წესით განსაზღვრავს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობას;

ჰ[3]) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული და სხვა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, უფლებამოსილია საბჭოს წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, შექმნას დროებითი კომისიები. კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე;

ჰ[4]) უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი;

ჰ[5]) აწესებს უნივერსიტეტის მედლებს, ჯილდოებსა და პრემიებს, ამტკიცებს მათი მიღების პირობებსა და წესს.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მის მისაღებად აუცილებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ფინანსური და სამართლებრივი დასაბუთების არსებობა.

3. რექტორს აკადემიური საბჭოს წევრობა უწყდება რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.

4. აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მიიღოს მისგან აუცილებელი ინფორმაცია.

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს აქტები

1. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

2. აკადემიური საბჭოს დადგენილება მიიღება ამ რეგლამენტის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“, „კ[1]“, „კ[2]“, „კ[3]“, „კ[4]“, „კ[5]“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“, „ჟ“, „რ“, „უ“, „ქ“, „ღ“, „ყ“, „ჩ“, „ც“, „ძ“, „წ“, „ჭ“, „ხ“, „ჯ“, „ჰ“, „ჰ[1]“, „ჰ[2]“, „ჰ[3]“, „ჰ[4]“, „ჰ[5]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ, ასევე რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის არჩევის/გათავისუფლებისა და ამ რეგლამენტის მიღებისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხებზე. (№52/2015, 04.05.2015) (№107/2016, 12.09.2016)

3. აკადემიური საბჭო წარდგინებით მიმართავს წარმომადგენლობით საბჭოს იმ საკითხებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს

მიერ დამტკიცებას.

4. აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს მიიღოს განცხადება ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს რექტორის აპარატი და აკადემიური საბჭოს სამდივნო.

2. აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს რექტორის აპარატი და აკადემიური საბჭოს სამდივნო.

3. რექტორის აპარატსა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელობს რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი, რომელსაც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიური საბჭო, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს სხდომები

1. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.

2. აკადემიური საბჭო, როგორც წესი, იკრიბება ორ კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის მიერ.

3. რექტორის, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საბჭოს უხუცესი წევრი, რაც განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.

5. სხდომა შესვენებების ჩათვლით გრძელდება არაუმეტეს 4 საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა 2/3-ის თანხმობით.

მუხლი 9. დღის წესრიგი

1. რექტორის აპარატი და აკადემიური საბჭოს სამდივნო, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.

2. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც რექტორის აპარატსა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 დღისა.

3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 10. გადაწყვეტილების მიღება

1. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აკადემიური საბჭოს წევრის სამეცნიერო-შემოქმედებით შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნისას აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მისი ჩართვა და კენჭისყრაში მონაწილეობა განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იყოს აკადემიური საბჭოს წევრის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი და შესაძლებელი იყოს მისი ხმის იდენტიფიცირება.

2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

3. აკადემიური საბჭოს წევრს არა აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

მუხლი 11. ხმის მიცემა

1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია. კენჭისყრა ტარდება ხელის აწევით.

2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

3. კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

4. ფარული კენჭისყრა ტარდება ბიულეტენების მეშვეობით. ბიულეტენების ფორმას ადგენს აკადემიური საბჭო. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.

5. ბიულეტენის შევსებისას აკადემიური საბჭოს წევრი შემოხაზავს მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას/არჩევანს, იმ შემთხვევაშიც კი თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება/არჩევანია მოცემული. ამ წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება. (№107/2016, 12.09.2016)

6. ამოღებულია. (№107/2016, 12.09.2016)

მუხლი 12. ოქმის წარმოება

1. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ოქმს აწარმოებს აკადემიური საბჭოს მდივანი. (№107/2016, 12.09.2016)

2. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს სხდომის მდივანი. (№107/2016, 12.09.2016)

2[1]. აკადემიური საბჭოს მდივნის არ ყოფნის შემთხვევაში, სხდომის მდივნის მოვალეობას რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის დავალებით ახორციელებს რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს თანამშრომელი. (№107/2016, 12.09.2016)

3. ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) სხდომის თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომის თავმჯდომარის, წევრების, ასევე მოწვეულ პირთა ვინაობა;

გ) დღის წესრიგი;

დ) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტის (მოკლე) შინაარსი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

4. განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები დაერთვება ოქმს დანართის სახით.

მუხლი 13. რეგლამენტის მიღებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი

აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება

აკადემიური საბჭოს დადგენილების მიღებისათვის განსაზღვრული წესით.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №73/2011 დადგენილებით დანიშნული აკადემიური საბჭოს მდივანი ამ რეგლამენტის მიხედვით ჩაითვალოს რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსად.